შენ ჰკითხე დიდებულ რამეზე, მაგრამ ეს ადვილია იმათთვის, ვისაც ალლაჰი გაუმარტივებს

მუ'აზ იბნ ჯაბალისგან (ალლაჰი იყოს კმაყოფილი მისით) გადმოცემულია, რომ მან თქვა: ვუთხარი: ო, ალლაჰის შუამავალო! მითხარი ისეთი საქმე, რომელიც შემიყვანს სამოთხეში და დამაშორებს ცეცხლს [ჯოჯოხეთს], მან თქვა: «შენ ჰკითხე დიდებულ რამეზე, მაგრამ ეს ადვილია იმათთვის, ვისაც ალლაჰი გაუმარტივებს: თაყვანი ეცი ალლაჰს და არ დაუდგინო თანამოზიარედ მას არაფერი, აღასრულე ლოცვა, გაეცი ზაქათი, იმარხე რამადანის თვეში და შეასრულე ჰაჯობა მექქაში». შემდეგ მან თქვა: «ნუთუ არ მიგითითო სიკეთის კარებზე? მარხვა არის ფარი, სადაყა აქრობს ცოდვებს ისე, როგორც წყალი აქრობს ცეცხლს, და კაცის ლოცვა შუაღამეში. შემდეგ მან წაიკითხა: {ისინი ტოვებენ თავიანთ საწოლებს} ვიდრე მიაღწია {იმას, რასაც ისინი აკეთებენ} შემდეგ მან თქვა: «ნუთუ არ გამცნო საქმის თავზე, მის საყრდენსა და მის მწვერვალზე?» მე ვუთხარი: დიახ, ო, ალლაჰის შუამავალო! მან თქვა: «საქმის თავი არის ისლამი, მისი საყრდენი ლოცვაა, ხოლო მისი მწვერვალი — ჯიჰადია ალლაჰის გზაზე». შემდეგ მან თქვა: «ნუთუ არ გამცნო ის, რაც ამ ყველაფერს აკავებს?» მე ვთქვი: დიახ, ო, ალლაჰის შუამავალო! მაშინ მან დაიჭირა თავისი ენა და თქვა: «შეიკავე ეს». მე ვთქვი: ო, ალლაჰის შუამავალო! ნუთუ ჩვენ დავისჯებით იმაზე, რასაც ვამბობთ? მან თქვა: «დაგკარგოს შენმა დედამ! ნუთუ ის, რასაც მათი ენები იმკიან, არ აგდებს ადამიანებს სახით (ან: ცხვირებით) ცეცხლში?!»

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-თირმიზიმ]

მუაზმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: ერთხელ მოგზაურობაში ვიყავი მოციქულთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ერთად. ერთ დღეს მასთან ახლოს ავღმოჩნდი როცა მივდიოდით და , ვუთხარი: ო, ალლაჰის მოციქულო, მითხარი ისეთი საქმე, რომელიც სამოთხეში შემიყვანს და ჯოჯოხეთისგან დამაშორებს, მან მითხრა: შენ ისეთ დიდ საქმეზე მკითხე, რომლის შესრულება ადამიანისთვის მძიმეა, მაგრამ ის მარტივი და ადვილია მათთვის, ვისაც ალლაჰი ამ საქმეს გაუმარტივებს. შეასრულე ისლამის სავალდებულოებები: პირველი: ეთაყვანე ერთადერთ ალლაჰს და არ გაუთანაბრო მას არაფერი. მეორე პირობა: ლოცვის შესრულება: დღე-ღამის განმავლობაში შესასრულებელი ხუთი სავალდებულო ლოცვა: დილის ლოცვა, შუადღის ლოცვა, ნაშუადღევის ლოცვა, სამხრობის ლოცვა და ღამის ლოცვა, თავისი პირობებით, საფუძვლებით და ვალდებულებებით. მესამე პირობა: სავალდებულო ზაქათის გადახდა - ეს არის ფინანსური თაყვანისცემა, რომელიც სავალდებულოა იმ ქონებისთვის, რომელმაც მიაღწია შარიათით დადგენილ მინიმალურ ზღვარს. ზაქათი უნდა გაიცეს იმ ადამიანებზე, ვისაც შარიათის მიხედვით ეკუთვნის. მეოთხე: იმახულე რამაზანის თვეში, რაც გულისხმობს ჭამაზე, სმაზე და სხვა მარხვის დამრღვევებზე თავის შეკავებას თაყვანისცემის განზრახვით, ფაჯრის გამოჩენიდან მზის ჩასვლამდე. მეხუთე: შეასრულე ჰაჯობა მექქაში თაყვანისცემის აღსრულების მიზნით, თაყვანსაცემად დიდებული და ძლევამოსილი ალლაჰის მიმართ. შემდეგ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: გინდა გაგაცნო გზა, რომელიც სიკეთის კარებამდე მიგიყვანს? ეს გულისხმობს იმ ვალდებულებების შესრულების შემდეგ ნებაყოფლობითის დამატებას: პირველი: ნებაყოფლობითი მარხვა, რომელიც ხელს უშლის ცოდვებში ჩავარდნას, რადგან აქრობს

სურვილს და ასუსტებს ვნებების ძალას. მეორე: ნებაყოფლობითი ქველმოქმედება აქრობს ცოდვას მისი ჩადენის შემდეგ, შლის მას და აქრობს მის კვალს. მესამე: თაჰაჯუდის ლოცვა ღამის უკანასკნელი მესამედში. შემდეგ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) წაიკითხა ყოვლისშემძლე ალლაჰის სიტყვები: {ისინი საწოლებიდან წამოდგებიან...} — ანუ ისინი ტოვებენ თავის საწოლებს ლოცვის, ზიქრის, ყურანის კითხვისა და ლოცვისათვის, _... {მოუხმობენ თავიანთ ღმერთს შიშითა და სასოებით და ხარჯავენ იმას, რასაც ჩვენ სარჩოდ ვუწყალობებთ}.. შემდეგ: {და არცერთმა სულიერმა არ იცის, რა სიამეებია დაფარული მათ თვალთაგან...} . — ეს არის სიხარული, რომელსაც ისინი განიცდიან აღდგომის დღეს და სამოთხეში, {...იმის საზღაურად, რასაც აკეთებდნენ}. შემდეგ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: გინდა გითხრა რელიგიის საფუძველი? მისი საყრდენი, რაზეც ის დგას? და მისი მწვერვალი? თქვა მუ'აზმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი): რათქმაუნდა, ო, ალლაჰის შუამავალო. მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: საქმის თავი არის ისლამი, რაც ნიშნავს ორ დამოწმებას და მათი (შაჰადას) საშუალებით ადამიანი იძენს რელიგიის საფუძველს. მისი საყრდენი არის ლოცვა, რადგან არ არსებობს ისლამი ლოცვის გარეშე, ისევე როგორც არ არსებობს სახლი საყრდენის გარეშე. ვინც ლოცულობს, მისი რელიგია ძლიერდება და მაღლდება. მისი მწვერვალი და ამაღლება არის ჯიჰადი — ძალისხმევის გაწევა რელიგიის მტრებთან ბრძოლაში, რათა ალლაჰის სიტყვა იყოს უმაღლესი. შემდეგ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ნუთუ არ გაგაგებინო, როგორ უნდა გააუმჯობესო და გაამყარო ის, რაც ითქვა?» — თავის ენას მოეჭიდა, და თქვა: «შეიკავე ის და ნუ ილაპარაკებ იმაზე, რაც შენ არ გეხება». მუ’აზმა თქვა: ნუთუ ჩვენი უფალი მოგვთხოვს პასუხისგებას და დაგვსჯის ყველაფრისთვის, რასაც ვამბობთ?! მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: "დაე, დედაშენმა დაკარგოს შენ!" — თუმცა, ეს არ იყო წყევლა, არამედ არაბთა გამონათქვამი, რომელსაც ისინი იყენებდნენ ყურადღების გასამახვილებლად რამე მნიშვნელოვან საკითხზე, რაც აუცილებლად უნდა სცოდნოდათ. შემდეგ მან თქვა: „განა სხვა რამე, გარდა იმისა, რასაც მათი ენები წარმოთქვამენ, აგდებს ადამიანებს ჯოჯოხეთში? ურწმუნოება, ცილისწამება(მრუშობაში), გინება, ცუდი საუბრები, ჭორაობა, ტყუილი და სხვა მსგავსი რამეები?“

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/66530